ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 8722

ქ. თბილისი "11" სექტემბერი 2018 წ.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული), გენერალური დირექტორის *ლაშა კილაძის* სახით, ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული), დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის *მამუკა ლიპარტელიანის* სახით, მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან მიღებული თანხმობა **SMP180001666**

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „მიმწოდებელი", შესაბამისი გამოკვლევის აქტის საფუძველზე უზრუნველყოფს „შემსყიდველის" ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ობიექტების დაცვას **2018 წლის 11 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (შემდგომში „ობიექტად" წოდებული)** (CPV 79700000);

2.2. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას „მიმწოდებელის" გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე–4 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით.

მუხლი 3. დაცვის თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის რეჟიმი

3.1 ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული „ობიექტების" დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი: ხელშეკრულების დანართით გათვალიწინებული დანაყოფების, საშტატო ერთეულებითა და დაცვის რეჟიმით.

3.2 მომსახურების გაწევის ვადაა 2018 წლის 11 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით;

3.3 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა: **10266,67 (ათიათასორასსამოცდაექვსი ლარი და 67თეთრი).**

4.2. მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს **2800,00 (ორიათას რვაას)** ლარს,დღგ-ს ჩათვლით. სექტემბრის თვეში გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 1866,67 (ერთიათას რვაასსამოცდაექვსი ლარი და 67 თეთრი) საშტატო ერთეულების მიხედვით მომსახურების ღირებულება განისაზღვრება დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3.ხელშეკრულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 5. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდეს საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში;, ამასთან არასრულ თვეში ანგარიშსწორება მოხდება დღეების პროპორციულად.

5.2 „დაცვის" მომსახურებაზე საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელშეკრულების დანართით გათვალიწინებული შესაბამისი დანაყოფები:

5.3 იმ შემთხვევაში, თუ თანხის გადარიცხვა 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ ხერხდება სახელმწიფოსგან შემსყიდველისათვის დაფინანსების შეფერხების გამო, არაუმეტეს 3 (სამი) თვის ფულად ვალდებულებაზე არ ერიცხება პირგასამტეხლო. შემსყიდველი ვალდებულია

ფულადი ვალდებულება შეასრულოს გონივრულ ვადაში, ფინანსური პრობლემის აღმოფხვრისთანავე.

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები

6,1 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.1.1. არ გაამყღავნოს „შემსყიდველის" სამსახურებრივი საიდუმლოება;

6.1.2 „ობიექტის" სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღის გარეშე;

6.1.3 „პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

6.1.4 „მიმწოდებელი" ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს „დაცვის" მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

6.1.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციას;

6.1.6 „შემსყიდველისათვის" ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას „მიმწოდებელი" მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

6.2 „მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:

6.2.2 „შემსყიდველმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;

6.2.3 თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ „ობიექტში";

6.2.4 მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდველის" მიერ „ობიექტის" დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.

6.3 „შემსყიდველი" ვალდებულია:

6.3.2 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და „მიმწოდებელისთან" ერთად იზრუნოს „ობიექტის" დაცვის სრულყოფისათვის;

6.3.3 „ობიექტის" მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში „მიმწოდებვლის" თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;

6.3.4 „მიმწოდებელს" 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე" მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის" დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);

6.3.5 „დაცვის" თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელის";

6.3.6 „შემსყიდველსს" ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს მიმწოდებელის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.

6.3.7 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, „შემსყიდველი" ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელის".

მუხლი 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ვადის დარღვევის შემთხვევაში, „შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებელის" გადაუხადოს პირგასამტეხლო დაცვის მომსახურების ერთი თვის ღირებულების ოდენობით, პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 14 საბანკო დღის განმავლობაში;

7.2 ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებისას.

8 ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფორს–მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან ფორს–მაჟორული შემთხვევის დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ. ფორს -მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე მხარეები ვალდებულნი არაიან შეასრულონ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10,1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

10.2 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, (გარდა ამ ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა)

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია;

11.2 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც „შემსყიდველსს“ ეცნობება არანაკლებ 10 დღით ადრე;

11.3 ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ;

11.4 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები.

11.5 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

11.6 ხელშეკრულება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო ერთი „მიმწოდებელთან“.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი”,	შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი,
ს/კ №404945164	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–11 კმ
ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი №2	ს/კ 211350928
სს „თი ბი სი ბანკი”-ს	მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა
ა/ა №GE75TB7810436020100002	მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707117293
გენერალური დირექტორი	სამმართველოს უფროსი
/ლ. კილასონია/	*მ. ლიპარტელიანი*

ხელშეკრულება № 2722 დანართი №1

დაცვის ქვეშ მყოფი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის
პრევენციის ცენტრი"-ს „ობიექტის" დასახელება

„11" „09" 2018 წ.

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	დანაყოფი	დაცვის რეჟიმი	საშტატო ერთეულების რაოდენობა			ანაზღაურება საშტატოს მიხედვით			დაცვის მომსახურების ღირებულება ერთი თვეში დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადა 11/09/2018 ჩათვლით	სატრანზიტო ანგარიშები
					განყოფილების უფროსი	ინსპექტორი	უმცროსი ინსპექტორი	განყოფილების უფროსი	ინსპექტორი	უმცროსი ინსპექტორი				
1	ფილიალი	ქ. თბილისი ქავთარაძის ჩიხი №2	ქ. თბილისის სამმართველოს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"-ს ობიექტების დაცვის განყოფილება	ყოველდღიურად 08:30 საათიდან 16:00 საათამდე		2	1		1000	800	2800	10266,67	11/09//2018-31/12/2018	სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ანგარიშის/სახაზინო კოდი 707117293
სულ												10266,67		

სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის
დაცვის ორგანიზაციის
სამმართველოს უფროსი

მ. ლიპარტელიანი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა
და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის"
გენერალური დირექტორი

რ. კილაძე

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№2722; 11,09,2018წ.) ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ი. ყარაულაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი) გ. ლოლიაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის და ადმინისტრირების სამსახურის უფროსი) ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№2722; 11,09,2018წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები) შსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი"-სთან.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------- /ლ. კილაძე/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი: ----------
/ი. ყარაულაშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ცენტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის და ადმინისტრირების სამსახურის უფროსი:----------
/გ. ლოლიაშვილი/

11, 09, 2018წ.